2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის

სხდომის ოქმი N 3

ჩოხატაური, წერეთლის N2 **30.09.2024 წ.**

„2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის" სხდომა გაიხსნა 2024 წლის 30 სექტემბერს.

სხდომა ჩატარდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, ჩოხატაური , წერეთლის ქუჩა N2

სამუშაო ჯგუფის სხდომა მოწვეულ იქნა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 01 მარტის N 46.46240612 ბრძანების საფუძველზე.

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 01 მარტის N 46.46240612 ბრძანების შესაბამისად სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი - დავით შარაშიძე

სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებიან:

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი - დავით შარაშიძე,

სამუშაო ჯგუფის წევრები: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები

დღის წესრიგი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის სამუშაო ჯგუფისათვის განსახილველად წარდგენა.

<u>**შეხვედრის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი შეეხება**</u> ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის განხილვას, რომელიც შედგენილ იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე.

სამუშაო ჯგუფმა მოისმინა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის - მაია გოგოლაძის მოხსენება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით.

მაია გოგოლაძემ სამუშაო ჯგუფს მოკლედ წარუდგინა ზოგადი ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის შესახებ, რომელიც დაიგეგმა მხოლოდ საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით (ტრანსფერების გარეშე) და 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია 18 664.0 ათასი ლარის

ოდენობით, რაც 2024 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან (15 755.8 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 2 908.2 ათასი ლარით.

ინფრასტრუქტურის მიმართულებით ჭერი დაგეგმილია 1 465.0 ათასი ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით 225.0 ათასი ლარით მეტია.

მიმდინარე ხარჯების მიმართულებით ჭერი დაგეგმილია 17 361.2 ათასი ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 2 760.4 ლარით მეტია.

მანვე აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის არაუგვიანეს 5 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წერილობით გვაცნობებს ინფორმაციას 2025 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს, რომლის საფუძველზე დაზუსტდება ბიუჯეტის პროექტის მოცულობა.

დავით თოდრიამ აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არის დასკვნით ფაზაში და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისათვის მოსალოდნელია დამატებითი ტრანსფერის გამოყოფა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს დაფინანსდეს ის მნიშვნელოვანი კაპიტალური პროექტები, რომელიც აუცილებელია მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

დავით თოდრიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ინფრასტრუქტურის სამსახურისთვის და ჩოხატაურის განვითარებისთვის 2025 წელს დადგენილი ჭერი არ არის საკმარისი იმ გამოწვევებისთვის, რაც დასახულია მერის მიერ და აუცილებელია ამ მიმართულებით ასიგნებების გაზრდა.

თეა მამალაძემ გამოთქვა აზრი, რომ ვინაიდან სპორტი, კულტურა და ახალგაზრდობა კვლავ რჩება ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებად და მნიშვნელოვანია ამ სფეროში ხელოვანების, შემოქმედი ადამიანებისა და ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა სხვადასხვა პროექტების განხორციელების გზით, მიზანშეწონილად მიიჩნევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

თეა მამალაძემ აღნიშნა, რომ დღეისათვის ჩოხატაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფს გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას და საჭიროა დამატებითი თანხების მოძიება ახალი ბაღების მშენებლობისთვის და არსებულის რეაბილიტაციისთვის.

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი **დავით შარაშიძე**

სამუშაო ჯგუფის წევრები:

მაია კუტუბიძე

ირაკლი ახობაძე

მაია გოგოლაძე

ნიკოლოზ დუმბაძე

რევაზ თედორაძე

თეა მამალაძე

ვლადიმერ გოგიბერიძე

ვლადიმერ სიხარულიძე

გია გიორგაძე

თეა უჯმაჯურიძე

გოგი ბოლქვაძე

მერაბი ბერძენიშვილი

აკაკი ყაჭეიშვილი

ზვიადი მამალაძე